მითის, როგორც საერთო კულტურული მემკვიდრეობის ოკუპაციისაგან დაცვის მეტაკოგნიტიური შესაძლებლობები

ალექსანდრე რუსეცკი
ფსიქოლოგიის დოქტორი (2019), პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი (2023),
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, პოლიტიკური ფსიქოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა საერთაშორისო ასოციაციის წევრი, პოლიტიკის მეცნიერებათა და მორალის აკადემიის წევრი,
ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, მეტაკოგნიტიური მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის ხელმძღვანელი.

ანოტაცია

სტატია შექმნილია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ფუნდამენტური კვლევების სამეცნიერო გრანტების 2022 კონკურსის ჩარჩოში გამარჯვებული პროექტის „პოლიტიკური კრიზისების მეტაკოგნიტიური მართვის თეორია“ ჩარჩოში. კვლევა მიმდინარეობს კავკასიის გეოპოლიტიკური მოდელირების ლაბორატორიის ბაზაზე.

სტატია მიეკუთვნება შემეცნების, პოლიტიკური ფსიქოლოგიის, მშვიდობის და მითების კვლევებს. მისი მეთოდოლოგიური ბაზისი ეყრდნობა - ჰოლისტური, რევიზიონისტული, ინტერდისციპლინური კვლევების შედეგად შექმნილ მეტაკოგნიტიური მართვის თეორიას და ავტორის მიერ გამოცემულ მონოგრაფიებს: „არქიპელაგი კავკასია“ - მითები და რეალური პოლიტიკა“, „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, „აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი - მეტაკოგნიტური მართვის თეორიის შესაძლებლობები“. ნაშრომი წარმოადგენს „პოლიტიკური მითოლოგია - გამოუყენებელი შესაძლებლობები საქართველოსთვის და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის“ წინა სტატიის გაგრძელებას.

განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული XX საუკუნის გერმენიის ნაცისტური რეჟიმის მიერ თავისი იდეოლოგიის ჩამოყალიბებაში გამოყენებულ მითოლოგიური ცოდნის კაპიტალზე. სტატიაში მითი განხილულია როგორც საერთაშორისო კაპიტალი, რომელიც უნდა იყოს დაცული მსგავსი ტიპის გამოყენებისაგან.

საკვანძო სიტყვები: პოლიტიკური მითოლოგია, მითოლოგიური ცოდნის კაპიტალი, ნაციზმი, მეტაკოგნიტიური მართვა.

ABSTRACT

The article was produced as part of the project “Theory of Metacognitive Management of Political Crises,” which won the scientific grants competition for fundamental research at Caucasus International University in 2022. This research is being carried out at the Laboratory of Caucasus Geopolitical Modeling.

The article contributes to the fields of cognition, political psychology, peace studies, and mythology. Its methodological foundation lies in the theory of metacognitive management, developed through comprehensive, holistic, revisionist and interdisciplinary research and detailed in the author’s monographs: “The Caucasus Archipelago - Myths and Real Politics,” “Arsenal of Metapolitics for Peace,” and “The Political Crisis of Abkhazia - Possibilities of Metacognitive Management Theory.” It builds upon the themes explored in the previous article titled “Political Mythology - Untapped Opportunities for Georgia and International Security.”

A significant focus is placed on the utilization of mythological knowledge by the German Nazi regime during the 20th century to shape its ideology. The article underscores the importance of safeguarding myth as a global asset, highlighting the need to prevent its misuse as demonstrated historically.

Key words: political mythology, mythological knowledge capital, Nazism, metacognitive management.

პრობლემის არსი

მეტაკოგნიტიური მართვა გულისხმობს შემეცნების სხვადასხვა სახეობებში არსებულ სამეცნიერო და არასამეცნიერო ცოდნის რესურსთა ეფექტიან გამოყენებას კონკრეტული ამოცანების მოგვარებისთვის. რეალური პოლიტიკის წარმოების პროცესში ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ პოლიტიკოსები ხშირად ეყრდნობიან არასამეცნიერო წყაროებიდან მიღებულ ინფორმაციას, რაც თავისთავად მოითხოვს მეცნიერების მხრიდან სერიოზულ ყურადღებას და შეფასებას. სტატიაში ყურადღებაა კონცენტრირებული პოლიტიკურ ტექნოლოგიებში მითოლოგიური ცოდნის გამოყენებაზე. მითოლოგია წარმოადგენს კოგნიტიური კაპიტალის სახეობას და გამომდინარე აქედან დაპირისპირების საგანს (რუსეცკი, 2024). მითებში წარმოდგენილ გმირებს და ისტორიებს იყენებენ სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფები. მაგალითად, გეოპოლიტიკური აქტორები იბრძვიან იმისთვის, რომ მიისაკუთრონ კაცობრიობის ისტორიაში არსებული ინფორმაცია და გამოი-

ყენონ იგი თავისი ინტერესებისათვის. ეს პროცესი არანაირად არ კონტროლდება საერთაშორისო სამართლის ჩარჩოში. სტატიაში წარმოდგენილია ინფორმაცია, რომელიც ამტკიცებს მითების სახით ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრების უხეში მისაკუთრების („მითის ოკუპაციის") მცდელობას. პრობლემას წარმოადგენს ასევე ამ თვალსაზრისით მითის, როგორც არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის საკითხი.

UNESCO - ს საერთაშორისო კულტურული მემკვიდრეობის დაცულ ძეგლთა კატალოგში აღმოვაჩინეთ მხოლოდ რამოდენიმე ქვეყნის მიერ წარმოდგენილი - ფოლკლორის, რიტუალის ან ეპოსის ძეგლი (World Heritage List, UNESCO). ზოგადად მითების, როგორც კულტურული მემკვიდრეობის არამატერიალურ ძეგლთა დაცვის პოლიტიკა საერთაშორისო დონეზე ატარებს სპონტანურ და შემთხვევით ხასიათს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული სამართლებრივი ბაზა ამისთვის არსებობს. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საერთაშორისო კონვენციის მიხედვით, რომელიც მიღებულია 2003 წელს UNESCO-ს გენერალური კონფერენციის მიერ, იგი მოიცავს წეს-ჩვეულებებს, წარმოდგენისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნასა და უნარებს, ასევე დაკავშირებულ ინსტრუმენტებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს, რომელიც აღიარებულია საზოგადოებების, ჯგუფების და ზოგიერთ შემთხვევაში ინდივიდების მიერ მათი კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად (Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage, 2003).

განსაკუთრებით სახიფათო და მტკივნეულია, როდესაც მითები გამოიყენება შეიარაღებული და პოლიტიკური დაპირისპირებების დროს, რასაც მოჰყვება მილიონობით ადამიანთა მსხვერპლი და ამაზე პასუხს არავინ აგებს. ამის თვალსაჩინო მაგალითია - გერმანული ნაციზმის მიერ გამოყენებული გერმანულ-სკანდინავურ და სხვა ხალხთა მითების უნიკლალური საგანძური.

კვლევის ინიციატორები ვარაუდობენ, რომ ამ პრობლემის მეტაკოგნიტიური მონიტორინგი, შეფასება და კონტროლი შეამცირებდა მომავალში ამ საერთაშორისო საგანძურის, როგორც კოგნიტიური იარაღის გამოყენების შესაძლებლობას.

მითოლოგიის და პოლიტიკის მეცნიერებათა გადაკვეთის სივრცეში შექმნილი პოლიტიკური მითოლოგიის სფეროში მოღვაწე სპეციალისტთა საერთაშორისო მონიტორინგის ჯგუფი ხელს შეუწყობდა ამ ინიციატივის განხორციელებას.

ისტორიული მიმოხილვა

ომის ტრაგედიამ შეიძლება მიიყვანოს ერი იმ კრიტიკულ წერტილამდე, სადაც აუცილებელია მისი გადარჩენისთვის კონსოლიდაცია. ამისთვის კი საჭიროა დიდი ფსიქოლოგიური ენერგია. ამ ენერგიის მოპოვება კი ხდება მეხსირებაში არსებულ საბადოებში. გარკვეულ ვითარებაში, ეს პროცესი რჩება შესაბამისი კონტროლის მექანიზმების მიღმა, რაც ქმნის რევანშიზმის, ახალი ომების და კატასტროფების საფრთხეს. ამის მაგალითია გერმანელთა ერის ტრაგედია. ამ სტატიაში ჩვენ გავამახვილეთ ყურადღება მხოლოდ იმ საკითხებზე რომელიც ეხება მითოლოგიის გამოყენების პრეცენდენტებს ნაცისტური და გლობალური ჰეგემონიის იდეოლოგიის შექმნის პროცესში.

გერმანიაში პირველი მსოფლიო ომის შედეგად განვითარებულმა კომპლექსურმა კრიზისმა დააჩქარა XIX საუკუნეში დაწყებული გერმანულენოვანი კულტურის მატარებელ ხალხთა გაერთიანების პროცესი, რაც გამოიხატა გერმანული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის დაბრუნებით თავის წარმართულ ფესვებთან. „ჩამოყალიბდა მრავალ მითთა სიმრავლეზე აგებული პანგერმანული მითი და ნაცისტური ეროვნული იდენტობა, რომელიც დაფუძნდა: ღმერთმშენებლობის პრინციპებზე; რასობრივ უპირატესობაზე; დაბრუნებაზე არქაულ წარსულში და ა.შ.. ამ პროცესს უნდა მოეხდინა გერმანელთა აზროვნების არქეტიპული კომპონენტის განვითარება. ასეთი მიდგომა განაპირობებდა კოლექტიურ ცნობიერებასთან (Bewusstsein) აპელირებას, სახალხო ძალების გამოღვიძებას და ახალი სახელმწიფო იდეოლოგიის მშენებლობას" (Морозова, 2011). სოციალისტური ფილოსოფიის მიხედვით, ღმერთმშენებლობა არის ფილოსოფიური და რელიგიური მოძრაობა, მისი მიმდევრები არ „ეძებდნენ" ღმერთს, როგორც რომელიმე არსებულ ზექვეყნიერ არსებას, არამედ ცდილობდნენ მის „აშენებას" კოლექტივის ძალებით (Вольфсон, 1930).

როგორც ნაცისტური პროპაგანდის ძირითადი სპეკულაციური საშუალება იყო წარმოდგენილი მითი - „ინდივიდის/ხალხის მისწრაფებათა კონსოლიდირებაზე უზენაეს ძალაში და მიწისქვეშეთის უხილავი არაემპირიული იდენტობის ფორმირებაზე" (Лаку-Лабарт, Нанси, 2002). გერმანული ტრაგედიის და ეროვნული ტრავმის ისტორია და მისგან გამომავალი კომპლექსების მთელი სისტემა იყო ამ კომპლექსებიდან გამომდინარე პროტესტზე აგებული ახალი გერმანული კონტრ-კულტურის შექმნის საფუძველი. განსაკუთრებული როლი ამ თვალსაზრისით ითამაშა არტმა. კ.გინზბურგი აღნიშნავდა გერმანული მითოლოგიის უწყვეტობას და მის მნიშვნელოვან როლს ნაცისტური პროპაგანდის საბოლოო ფორმირებაში, რაც წარმოადგენდა ნაცისტური იდეოლოგიის და ჰიტლერის რეჟიმის ლეგიტიმაციის წყაროს (Гинзбург, 2004). მაგრამ, გერმანელთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების ისტროიის მოკლე მონაკვეთზე არსებული მასალა არანაირად არ იყო საკმარისი იმ დიდი მიზნების გა-

ნხორციელებისთვის, რასაც გეგმავდა ნაცისტური რეჟიმი. საკითხი შეეხებოდა მსოფლიო ჰეგემონიას, „გერმანული ღერძის“ შექმნას და მთელი კაცობრიობის დაქვემდებარებისათვის - „მეგაკოლონიის“ შექმნას. ამ პოლიტიკის სამარცხვინო კომპონენტს წარმოადგენდა საკონცენტრაციო ბანაკების სისტემა. ასეთი მოქმედებები გამომდინარეობდა „დაგვიანებული ერის“ კონპლექსიდან, რაც გულისხმობს იმას, რომ გერმანულ მენტალობაში არსებობდა განცდა იმის თაობაზე, რომ მათ არ მიუღიათ მონაწილეობა მსოფლიოს გადანაწილების პროცესში, რაც აისახებოდა პირველ რიგში კოლონიალური ზეგავლენების სიმცირეში.

ამ ეროვნული არასრულყოფილების კომპლექსის ნიადაგზე წარმოიშვა ოკულტისტური და წარმართული ტიპის სხვადასხვა ორგანიზაციათა ფართე სისტემა. ერთ-ერთი მათ შორის კი იყო - „ლისტის საზოგადოება“. ორგანიზაცია დაარსა - ავსტრიელ-გერმანელ პოეტმა, რუნოლოგმა, არიოსოფიის და გერმანული ოკკულტიზმის დამაარსებელმა, თეოსოფოსმა, აქტიურმა ანტისემიტმა - გვიდო ფონ ლისტმა. მან XIX საუკუნის ბოლოს გამოსცა წიგნი - „ინდო-გერმანელთა მისტერიალური ენა“ და პირველმა წარმოადგინა არქტოგეას კონტინენტის და მისი დედაქალაქი ტულეს ისტორია. 1903 წელს ლისტმა შექმნა ნაშრომი რომელიც შეეხებოდა პროტოარიულ ენას. 1908 წელს დაარსა თვით -„ლისტის საზოგადოება“ და რელიგიური მიმდინარეობა „ვოტანი“ („ოდინი“), რომელშიც გააერთიანა გავლენიანი პოლიტიკოსები, ჟურანლისტები და ოკულტისტები. ნაშრომებში აქტიურად ეყრდნობა ელენე ბლავატსკაიას „საიდუმლო დოქტრინას“ და ანვითარებდა არმანიზმის იდეებს, ქმნიდა ახალი სახელმწიფოს პროექტს, რომელშიც არიოგერმანული რასა მართავს მსოფლიოს დანარჩენ მოსახლეობას (Goodrick-Clarke, 1985). არმანიზმის, როგორ ანტილლიბერალური, ნაცისტური და რასისტული თეორიების თანადამაარსებელი მასთან ერთად იყო ყოფილი ბერი - იორგ ლანც ფონ ლიბენფელსი.

ლისტი ასევე იყო ავსტრიულ-გერმანული ნაციონალისტური მოძრაობის რიტერ გეორგ ფონ შონერერის და კარლ ვოლფის მიერ ჩამოყალიბებული პანგერმანიზმის იდეის აქტიური მომხრე. გ.შონერერი იმდენად აღმერთებდა „რკინის კანცლერს“ - ოტო ფონ ბისმარკს, რომ დაკრძალულია მისი მავზოლეუმის გვერდით. ხოლო კარლ ვოლფი წარმოადგენდა ჰერნრიხ ჰიმლერის მარჯვენა ხელს განსაკუთრებით იდეოლოგიურ საკითხებში და მეორე მსოფლიო ომის მიწურულს თანამშრომლობდა ამერიკელ დიპლომატ - ალან დალესთან.

როგორც აღნიშნავს კარლ იუნგი, „ძალადობის პროპაგანდა პოულობდა დასაყრდენს გერმანულ-სკანდინავიურ მითოლოგიაში“. 1936 წელს მან გამოაქვეყნა მისი ცნობილი ნაშრომი „ვოტანი“ („ოდინი“), რომელშიც იგი ადარებს გამოღვიძებულ გერმანულ ცნობიერებას გერმანელთა ომის ღმერთთან - „ვოტანთან“, რომელიც მისი აზრით წარმოადგენს არქეტიპს, რომელიც კვებავს მთელი რასის აზროვნებას და ქცევას“ (Юнг, 1994). ოდინი, იგივე ვოტანი, წარმოდგენილია როგორც უზენაესი ღმერთის - ბორეს და ბესტლას შვილი, ბურას შვილიშვილი. მისი პანგერმანული ფორმა ითარგმნება როგორს „სოგიჟის ბრძანებელი“ (West, 2007) ან „გიჟთა და შეპყრობილთა ბელადი“ (Lindow, 2002). აქ გერმანულ-სკანდინავიური მითში ნახსენები „ოდინის“ („ვოტანის“) მამა - „ბორი“ სავარაუდოთ კავშირშია კავკასიურ და ბერძნულ მითებში არსებულ „ბორეოსთან“, რომელიც არის ჩრდილოეთის ქარი - ღმერთი.

ერის სრული კონსოლიდირების და სამხედრო მობილიზაციისათვის აუცილებელი პირობაა - გარე მტრის ხატის შექმნა. გერმანულ-სკანდინავიური მითოლოგიის საფუძველზე შეიქმნა გერმანელთა გარე სამყაროს ისეთი არქაიკული ხატი, რომელიც წარმოადგენს მათი არსებობისთვის საფრთხეს. ეს არის ადამიანთა კულტურის **„მითგარდის“** სამყარო და მის პარალელურად - ქაჯებით და ვეშაპებით დასახლებული გარეული ქაოტიური სამყარო - **„უტგარდი“.** ნაციონალ-სოციალისტა იდეოლოგიაში პირველს წარმოადგენდა გერმანელი ერი - არიულა რასა, ხოლო მეორეს - ყველა დანარჩენი ეროვნების და არაარიული რასის წარმომადგენელი (Гуревич, 1975).

გერამანული ნაციზმი ეყრდნობოდა ძირითადათ ირაციონალურ მითოლოგიურ საწყისებს. მისი მთავარი არსი მდგომარეობდა იმაში რომ დაემტკიცებინათ საკუთარი თავისთვის და გარე სამყაროსთვის, რომ დედამიწაზე მხოლოდ ისინი არიან პროტორასის წარმომადგენლები (შთამომავლები) და ამის თაობაზე მათ გააჩნიათ უტყუარი მტკიცებულებები. გარკვეულ წილად აი ეს ედო საფუძვლად რადიკალური ანტისემიტიზმის იდეებს და საბოლოო ჯამში - ჰოლოკოსტის ტრაგედიას. ნაცისტური გერმანული აზროვნებისთვის კატეგორიულად მიუღებელი იყო რომელიმე ღმერთის მიერ „რჩეული ერის არსებობა“ მითის დონეზეც კი. ამან განაპირობა ნაცისტ ლიდერთა განსაკუთრებული ყურადღება მითოლოგიის მიმართ. შეიქმნა ღია და დახურული სახის უძლიერესი კვლევითი ცენტრების მთელი ინფრასტრუქტურა, რომელიც იმართებოდა ნაცისტთა უხვი დაფინასებით. ჩატარდა უნიკალური სამეცნიერო ექსპედიციები და დაფინანსდა კვლევები სხვასხვა დარგში. 1935 წელს შეიქმნა საზოგადოება „ანენერბე“, რომელიც თავის მაშტებებით წარმოადგენდა მცირე განვითარებული ქვეყნის მეცნიერებათა აკადემიას. ანანერბე (“Ahnenerbe”) გერმანულად ნიშნავდა - “წინაპართა მემკვიდრეობას”, (სრული სახელი - “გერმანული საზოგადოება ძველი გერმანიის ისტორიისა და წინაპრების მემკვიდრეო-

ბის შესასწავლად”).

1936 წლის სექტემბერში ნაციონალ-სოციალისტური პარტიის მთავარი მიტინგის დროს ადოლფ ჰიტლერმა განაცხადა: ”ჩვენ არაფერი გვაქვს საერთო იმ ადამიანებთან, რომლებსაც ნაციონალიზმი ესმით მხოლოდ როგორც ლეგენდებისა და მითების ერთობლიობა და ამის შედეგად ასევე ადვილად ანაცვლებენ მას ნორდიული შინაარსის ბუნდოვანი ფრაზებით. ახლა იწყებენ კვლევების ჩატარებას ატლანტიელთა მითიური კულტურის საფუძვლებზე“. ა.ჰიტლერმა მკაცრად გააკრიტიკა ანენერბეს-ს პირველი ხელმძღვანელი, ჰოლანდიური წარმოშობის ისტორიკოსი/არქეოლოგი - ჰერმან ვირტი, რომელმაც სიცოცხლე მიუძღვნა **არქტოგეას** და **ჰიპერბორეას** შესწავლას. იგი თვლიდა, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის სათავეში არსებობდა ორი რასა - დაბალი დონის სამხრეთის (აფრიკელები, ავსტრალიელები) და სულიერი ნორდიული, რომლებიც თავდაპირველად ბინადრობდნენ პოლუსებზე არსებულ ორ დიდ კონტინენტზე - **არქტოგეაზე და ჰიპერბორეაზე** (Проект ХРОНОС).

1935 წელს, მიუნხენში ჩატარებულ გამოფენაზე „გერმანელ წინაპართა მემკვიდრეობა“ ჰერმან ვირტი იყო წარმოდგენილი როგორც ექსპოზიციის „წმინდა შემომწირველნი. ტულედან გალილეაში და გალილეიდან უკან ტულეში“ ორგანიზატორი და ასევე „ჰიპერბორეიზმის“ კონცეპციის ერთ-ერთი ავტორი. ამის შედეგად ის, ჰიმლერის ინიციატივით დაინიშნა „ანენერბეს“ ხელმძღვანელად. ნაცისტურმა რეჟიმმა სათავისოდ გამოიყენა მეცნიერის ნაშრომები და 1938 წელს ის უკვე აღარ იყო მათთვის საჭირო და უფრო მეტიც, წარმოადგენდა იდეოლოგიურ საფრთხეს: გერმანული ნაციზმის იდეებისთვის იყო მიუღებელი, რომ ჰ.ვირტი არ ეგუებოდა ტოტალიტარიზმს და მიუხედავად მისი ფუნდამენტური რასისტული იდეებისა, თვლიდა რომ “ატლანტო-ნორდიულ რასაში“ იგულისხმება მეტ-ნაკლებად ყველა ევროპული ერი. ვირტს სჯეროდა, რომ ატლანტიდაში მატრიარქატი მეფობდა და ყველაფერს მართავდა „დიდი დედა“, ფრეია, „ვრალდას სულის“ ქალიშვილი. და ჰ.ვირტმა პატრიარქატი მიიჩნია ძველი ჩრდილოეთის საფუძვლების სამხრეთულ გადაგვარებად (მან შეისწავლა ჩრდილოეთის რეგიონები და მოგვიანებით გამოსცა პატარა წიგნი, რომელიც ეძღვნებოდა არქტოგეას და ჰიპერბორეას მკვიდრთა რელიგიას, თეთრი ქალღმერთის თაყვანისცემას) (Дзен).

ნაცისტურ გერმანიაში „მემკვიდრეობის კვლევები“ წარმოადგენდნენ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანილ განსაკუთრებულ საქმიანობას, რომელსაც უწევდა კურატორობას ნაცისტური პარტიის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი - ჰაინრიხ ჰიმლერი, რომელიც გაიზარდა როგორც ნაციზმის ლიდერი - ანტისემიტური პამფლეტების, გერმანული მითების და ოკულტური ტექსტების საფუძველზე. პირველ მსოფლიო ომში გერმანიის არმიის დამარცხებაში საჭირო იყო დამნაშავის მოძიება. და ამ დამნაშავის როლი შეასრულეს ებრაელებმა. 1922 წლის 24 ივნისს მოკლეს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ვალტერ რატენაუ. ლიბერალური შეხედულებების ებრაელური წარმოშობის კაპიტალისტის და მინისტრის მკვლელობა ჩაიდინდა ფარულმა ტერორისტულმა ორგანიზაცია „კონსულმა“ („ერხარდის ბრიგადა“). მცირე დროში მათ მიერ იყო ლიკვიდირებული 360 ლიბერალური და ცენტრისტული შეხედულებების პოლიტიკური მოღვაწე. რის შემდეგაც ჰიმლერის შეხედულებები უკიდურესად რადიკალური გახდა (Weale, 2010).

ნაცისტური რეპრესიები გავრცელდა სამღვდელოებაზეც. პროტოისტორიული კვლევები სჭირდებოდა იმისთვისაც, რომ მინიმუმამდე შეემცირათ ქრისტიანული ეკლესიის ზეგავლენა გერმანულ საზოგადოებაზე. ქრისტიანული ჰუმანიზმი წარმოადგენდა ნაციზმისთვის ფუნდამენტურ საფრთხეს. ძალის უზომო გამოყენებისათვის მათ სჭირდებოდათ სრული თავისუფლება, რასაც ხელს შეუწყობდა მოდერნიზირებული წარმართული კულტურის პოპულარიზება.

გერმანელი ოკულტისტის - რუდოლფ ფონ ზებოტენდორფის (ნამდვილი სახელი - ადამ ალფრედ რუდოლფ გლაუერი) მიერ 1918 წელს გერმანული ნაციონალისტური მოძრაობა (ფიოლკიშეს) წიაღში, მიუნხენში შეიქმნა ნაცისტური ხასიათის ოკულტისტური პოლიტიკური ორგანიზაცია - „ტულე“. გლაუერი ამავე დროს იყო ოსმალთა იმპერიის მოქალაქე და სუფიების ტრადიციათა მიმდევარი (ოსმალთა იმპერიის დამაარსებელთა - „ბექტაშთა ორდენი“, რომელსაც ჰქონდა შაბთაი ცვის (გამაჰმადიანებულ იუდველის) მიმდევრებთან - დიონმეებთან კავშირი), ამავე დროს იგი იყო ფრანკომასონი და ფარული რიტუალების ადეპტი, ფლობდა თეოსოფიურ, ნუმეროლოგიურ და კაბალისტურ ცოდნას. 1912-1913 წლების ბალკანეთის ომის დროს იგი იბრძოდა თურქეთის მხარეს, თანამშრომლობდა „წითელი ნახევარმთვარის“ ორგანიზაციასთან და არჩეული იყო „ვარდისფერი თაიგულის (როზენკრანცის)“ ორდენის მაგისტრად. 1910 წელს, სტამბულში მას უკვე ჰქონდა შექმნილი საიდუმლო საზოგადოება, რომელიც წარმოადგენდა მომავალი „ტულეს“ ორგანზაციის შექმნის საწინდარს. გლაუერმა ფაქტობრივად გამოიყენა გერმანელებთან იგივე ტექნოლოგია, რომელიც შაბთაი ცვიმ - ებრაელებთან. მან დაურიგა იუდველ რაბინებს მსოფლიოს ბატონობის 26 სამეფო ტიტული და „გადაუნაწილა“ მათ მიწები. რაც მთავარია, შაბთაი ცვიმ მიისაკუთრა მესიის სტატუსი და ეს პროცედურა გლაუერმა სცადა გამოიყენებინა ნაცისტური პარტიის შექმნის პროცესში (ღმერთმშენებლობა).

შაბთაისტთა აზროვნებაში უზენაესია არა საკუთარი თავის შეწირვა, არამედ რწმენის „გარეგნული“ შეწირვა იმისთვის რომ გადაარჩინონ თანამორწმუნეები ფიზიკურ განადგურებას - შაბთაი ცვიმ მიიღო ისლამი ხოლო მისმა მიმდევრებმა ასევე კატოლიციზმი. გალუერმა კარგად გამოიყენა გერმანიაში არსებული ეროვნული არასრულყოფილების კომპლექსის „კოლონიების დეფიციტის კომპონენტი“ და ხელი შეუწყო გერმანელთა ცნობიერებაში მსოფლიო ბატონობის იდეების გაძლიერებას, მაგრამ 1920 წელს მისი და ჰიტლერის გზები გაიყო. გლაუერი დაბრუნდა თურქეთში სადაც გაურკვეველ ვითარებაში აღოაჩინეს წყალში დამხრჩვალი.

კვლევისთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს თვით „ტუელეს“ ორგანიზაციის სახელწოდება, რომელიც ასოცირდება ბერძნულ მითოლოგიასთან, რომლის მიხედვითაც, ტულე წარმოადგენდა ჰიპერბორეის ცენტრს, სხვადასხვა ვერსიით - დედაქალაქს და ატლანტიდის ჩაძირვის შემდეგ, უძველესი ამ ცივილიზაციის გადარჩენილ კუნძულს, რომელიც გეოგრაფიულად არსებობდა ისლანდიის და გრენლანდიის მახლობლად. ბერძნულ მითებს აძლიერებენ ძველი სკანდინავიური და ირლანდიური ხალხური საგმირო თქმულებები - საგები და ასევე ძველი რუკები (იხ. სურათი).

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, „ტულეს“ იდეის აქტიურ პოპულარიზაციას ეწეოდა „ლისტის საზოგადოება“, მოგვიანებით კი თვით „ტულე“ და მის საფუძველზე შექმნილი „ანენერბეს“ საზოგადოება, რომლის რიგებში, ისეთ ცნობილ სახეებთან ერთად, როგორიც იყო ოკულტისტი ფრიდრიხ ჰილშერი, ეთნოლოგი და მისტიკოსი - ჰერმან ვირტი, გერმანული გეოპოლიტიკური სკოლის ჩამომყალიბებელი - კარლ ჰაუსჰოფერი, ფიგურირებს ქართველი მეცნიერი, ფიზიკოსი, პოლიტოლოგი და პოლიტიკოსი - ალექსანდრე ნიკურაძე. ა.ნიკურაძე იყო გერმანიის პროტექტორატის და საქართველოს რეგიონული ჰეგემონიის ქვეშ მყოფი კავკასიის კონფედერაციის პროექტის ავტორი და **კონტინენტალური ევროპის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის** დამაარსე-



ბრიტანეთის კუნძულების რუკა მითიურ კუნძულ ტულეს ნაწილთან ერთად. პტოლემეოსის გეოგრაფიული ატლასი (ძველ ხელნაწერთა ბიბლიოთეკა).

ბელი (ჯავახიშვილი, 2018).

ა.ნიკურაძე ასევე (არადადასტურებული ინფორმაციით) იყო პოლონეთის „პრომეთეისტული“ მოძრაობის იდეოლოგი, რაც ქმნის ბევრ კითხვას და დამატებითი კვლევების ინტერესს იმიტომ რომ იგი ფიზიკურად იმყოფებოდა გერმანიაში და იყო გერმანიის მოქალაქე. სავარაუდოთ ის ხელს უწყობდა პოლონეთის დაცემის შმდეგ 1939 წელს პოლონეთში მოღვაწე ქართველ და კავკასიელ პრომეთეისტებს.

ა.ნიკურაძის იდეებმა, გარდა ფრანგი პუბლიცისტისა ჟოზეფ გობინოსა და გერმანელი კომპოზიტორის და პუბლიცისტის - რიხარდ ვაგნერის სიძისა - ინგლისელი ჰიუსტონ ჩემბერლენის ნაწერებისა, განსაკუთრებული გავლენა იქონია გერმანული რასის თეორიის ჩამოყალიბებაზე, რომელიც მიზნად ისახავდა ნაცისტებისთვის მოკავშირეების პოვნას ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთსა და სსრკ-ში (Dorril, 2002; Абрамян, 2007). გერმანული ნაცისტური და რასობრივი თეორიის კიდევ ერთი არაგერმანელი ავტორი - **ჟოზეფ არტიურ დე გობინო** - ფრანგი სოციოლოგი, მწერალი და პუბლიცისტი იყო რასისტული თეორიისა და სოციოლოგიაში ანთროპოლოგიური სკოლის ერთ-ერთი შემქმნელი. რასობრივი უთანასწორობა და რასებს შორის ბრძოლა გობინოს ხალხთა განვითარების მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა. იგი ფიქრობდა, რომ კულტურული განვითარების ყველაზე დიდი უნარი აქვს თეთრ რასას, განსაკუთრებით კი მის გერმანულ შტოს. გობინოს ეკუთვნის აგრეთვე შრომები აღმოსავლურ ეთნოგრაფიაში, ლიტერატურისა და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაწარმოებები (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1978). გერმანიაში ფუნქციონირებდა „გობინოს საზოგადოება“, რომელიც აერთიანებდა 360 წევრს. გობინომ პოპულარობა მოიპოვა კომპოზიტორ რ.ვაგნერის დახმარებით, რომელიც თვლიდა მას *თავის მოაზრედ* (van Vrekhem, 2006).

ა.ნიკურაძე მეგობრობდა გერმანელ ნაცისტთა პარტიის კიდევ ერთ-ერთ მთავარ იდეოლოგთან, რასისტული და ანტისემიტური იდეოლოგიების აქტიურ პოპულარიზატორთან, საზოგადოება „ტულე“-ს წევრთან, რუსეთის იმპერიის ქალაქ რეველში (ტალინი) დაბადებულ - ალფრედ ერნესტ როზენბერგთან. კარლ ჰაუსჰოფერისგან განსხვავებით, რომელიც იყო გეოპოლიტიკური ალიანსის „ბერლინი-რომი-მოსკოვი-ტოკიო“ პროექტის მომხრე, ა.ნიკურაძე ემხრობოდა გერმანია-საბჭოთა კავშირის ომს და „რუსული საკითხის“ საბოლოოდ დასრულებას.

ა.ნიკურაძე იყო არა მხოლოდ ფიზიკოსი და გეოპოლიტიკოსი, ის იყო გერმანული პოლიტიკური და იდეოლოგიური ელიტის წარმომადგენელი. ჯერ-ჯერობით გაურკვეველია - რა მიზეზების გამო ა.ნიკურაძე არა მხოლოდ გადაურჩა ნიურნბერგის პროცესს, არამედ შეინარჩუნა და განავითარა თავისი პოზიციები დასავლეთ გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ამის თაობაზე განიხილება ორი ვერსია. გათვალისწინებული იყო მოკავშირეების მიერ ის ფაქტორი, რომ მან სიკვდილს გადაარჩინა ათასობით ქართველი და კავკასიელი სამხედრო ტყვე ან/და ა.ნიკურაძე თანამშრომლობდა ბრიტანელებთან, გამომდინარე იქედან, რომ, გერმანია-სსრკ-ს ომი წარმოადგენდა პირველ რიგში მათ სტრატეგიულ ინტერესს.

ა.ნიკურაძე იყო ჰაუსჰოფერის „საცხოვრებელი სივრცის თეორიის“ მიმდევარი. კარლ ხოუსხოფერმა 1922 წელს დააფუძნა გერმანიის გეოპოლიტიკის ინსტიტუტი, 1924 წელს ჟურნალი გეოპოლიტიკა, 1935 წელს კი გერმანია-ინგლისის საზოგადოება (Хаусхофер, 2001). ჰიტლერთან ურთიერთობა დაამყარა ჰერმან ჰესის მეშვეობით, იგი უკითხვადა მათ ლექციებს „ლუდის პუტჩის“ დროს, როდესაც ისინი იჯდენ ციხეში, მაგრამ დიდი ზეგავლენით ჰიტლერზე არ სარგებლობდა. მიუხედავად დიდი ღვაწლისა, გამომიდნარე იქედან რომ მისი მეუღლე იყო ებრაელი, ის ახალი ნაცისტური ელიტის სრულყოფილ წევრად ვერ გახდებოდა. ფაქტობრივად იგი იყო გერმანული „ევრაზიონიზმის“ გეოპოლიტიკური პროექტის ერთ-ერთი დამაარსებელი და თვილიდა, რომ უნდა არსებობდეს „ევრაზიონისტთა ბლოკი“, რომელიც დააბალანსებდა ანგლო-საქსთა გეოპოლიტიკურ ალიანს. და მოიაზრებდა ამ „ღერძის“ მთავარ მოთამაშეებად - ბერლინს, მოსკოვს და ტოკიოს (Хаусхофер, 2001). „ევრაზიის დახრჩობა შეუძლებელია მაშინ, როცა მისი ორი უდიდესი ხალხი - გერმანელები და რუსები - ყველანაირად ცდილობენ თავიდან აიცილონ შიდა კონფლიქტი, როგორიც იყო ყირიმის ომი ან 1914 წელი: ეს არის ევროპული პოლიტიკის აქსიომა...“ (Хаусхофер,1943). საბოლოო ჯამში, ისევე როგორც ვირტი, ჰაუსჰოფერი აღმოჩნა გესტაპოს მსხვერპლი. დახვრიტეს მისი ერთ-ერთი ვაჟი ალბერხტი, რომელიც ღებულობდა მონაწილეობას ა.ჰიტლერის წინაამღდეგ შეთქმულებაში. მისი მეორე ვაჯი და თვით კ.ჰაუსჰოფერი ჯერ საკონცენტრაციო ბანაკში აღმოჩნდენენ ხოლო მერე - გესტაპოს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. ყველა გეგმა, რომელსაც მას ჰქონდა შექმნილი მან ვერ განახორციელა. მისი იდეები უხეშად იყო გამოყენებული ნაცისტების მიერ და ის ამას ძალიან განიცდიდა. 1946 წლის მარტში, კ.ჰაუსოფერმა და მისმა მეუღლემ ერთად დაასრულეს სიცოცხლე სუიციდით.

1998 წელს, ქართული წარმოშობის საბჭოთა გენერალ-მაიორის და სამხედრო მეცნიერებათა კანდიდატის - თენგიზ ეპიტაშვილისგან მიღებული ინფომაციით, ჰიტლერმა სსრკ-ს (რუსეთის) ნაცვლად მოკავშირედ აირჩია თურქეთი. სამხრეთ კავკასიაში

სტალინგრადის აღების თანავე უნდა შემოსულიყო თურქეთის არმია, რის გამოც დაინაღმა საბჭოთა კავშირის და თურქეთის საზღვრის საქართველოს მთელი პერიმეტრი (4 კილომეტრის სიღრმით). ასე რომ არც ჰაუსჰოფერის არც ნიკურაძის გეგმები პრაქტიკაში ვერ განხორციელდებოდა. ა.ნიკურაძის მიერ იყო შექმნილი ევროპამცოდნეობის მიმართულება და მას მიუძღვის დიდი ღვაწლი პოლიტიკის და გეოპოლიტიკის მეცნიერების განვითარებაში. ამავე დროს, მეორე მსოფლიო ომმა გაანადგურა 300 000 ქართველი და 20 მილიონამდე სხვადასხვა ეროვნების ადამიანი.

კვლევის შედეგები

კვლევამ დაადასტურა, რომ გერმანელ, სკანდინავიელ, ისლანდიელ და სხვა ხალხთა მითები იყო გამოყენებული ნაცისტური იდეოლოგიის ჩამოყალიბებისთვის, რასაც შეეწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე. თვით მითი, როგორც საერთაშორისო კულტურის საგანძური არანაირად არ იყო დაცული ამ ავანტიურისგან და დღემდე არარსებობს ამის თაობაზე შესაბამისი საერთაშორისო სამეცნიერო და პოლიტიკური შეფასება, რაც იძლევა საშუალებას რომ მომავალში განმეორდეს იგივე. ნეონაცისტური ჯგუფების აქტიობა დღესაც წარმოადგენს რეალურ საფრთხეს და ეს ფენომენი ვრცელდება სხვადასხვა ქვეყანაში მოქმედ რადიკალურ დაჯგუფებებში.

კვლევამ დაადასტურა, რომ გერმანული ნაციზმის იდეოლოგიის შექმნაში მონაწილეობას ღებულობდნენ არაგერმანული წარმოშობის მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები, ამიტომ იგი ამ თვალსაზრისით ატარებს „ინტერნაციონალურ“ ხასიათს.

დასკვნა

პოლიტიკური მითოლოგიის საერთაშორისო ფორუმი და მის შედეგად დააარსებული მეტაკოგნიტიური მონიტორინგის გუნდი შესძლებდა როგორც ამ პრობლემის შესაბამის სამეცნიერო შეფასებას, ასევე მეტაკოგნიტიური მონიტორინგის მეშვეობით ამ პროცესებზე მუდმივმოქმედი კონტროლის დაწესებას. მითების, როგორც ზოგადსაკაცობრიო საგანძურის დაცვის მიზნით, ეს გაერთიანება შესძლებდა მათ აღრიცხვას, წყაროების და ნაშრომების სისტემატიზერებას და დეგიტალიზაციას. მსგავსი ინიციატივები წარმოადგენენ კვლევის შედეგად მიღებული შედეგების დესიმინაციას, რაც წარმოადგენს სოციალური მოდელირების და პრაქტიკის მაგალითს. პოლიტიკური მითოლოგიის კვლევების განვითარება შეამცირებდა კონსპირაციული თეორიების ზეგავლენას და გაზრდიდა ამ დარგში ტრანსპარენტულობის ხარსხს.

პოლიტიკური მითოლოგიის მიმართულებით მზადდება სტატიების ციკლი, რომელშიც იქნება წარმოადგენილი ინფორმაცია გარდა ა.ნიკურაძისა - სხვა ქართველ მეცნიერებზეც და პოლიტიკოსებზეც, რომლებიც - XIX-XX საუკუნეებში ღებულობდნენ მონაწილეობას ამ დარგის კვლევების განვითარებაში ან მათი შედეგების პრაქტიკულ განხორციელებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Dorril, S. (2002). MI6: Inside the Covert World of Her Majesty's Secret Service (p. 817). Fortuna Books.
2. Goodrick-Clarke, N. (1985). The Occult Roots of Nazism: The Ariosophists of Austria and Germany, 1890–1935. Wellingborough, England: The Aquarian Press.
3. Lacoue-Labarthe, F., & Nancy, J.-L. (2002). Philippe Lacoue-Labarthe = Филипп Лаку-Лабарт, Jean-Luc Nancy = Жан-Люк Нанси, пер. с франц. С.Л. Фокина. Санкт-Петербург: "Владимир Даль".
4. Lindow, J. (2002). Norse mythology: A guide to the gods, heroes, rituals, and beliefs (First issued as an Oxford University Press paperback). Oxford: Oxford University Press.
5. Van Vrekhem, G. (2006). Hitler and His God: The Background of the Hitler Phenomenon. Rupa & Company.
6. West, M. L. (2007). Indo-European poetry and myth (1st ed. in paperback). Oxford: Oxford University Press.
7. Weale, A. (2010). The SS: A New History (illustrated, reprint). Little, Brown.
8. World Heritage List, https://whc.unesco.org/en/list/
9. Абрамян, Э. А. (2007). Кавказская эмиграция в планах нацистского германского руководства накануне войны против СССР. Армия и общество, (2), 88-94.
10. Вольфсон, С. (1930). Богоискательство и богостроительство. В Литературная энциклопедия (Том 1, стр. 535–539). Изд-во Ком. Акад. (Издательство Коммунистической Академии).
11. Гуревич, А. (1975). Средневековый героический эпос германских народов.// Беовульф. Старшая Эдда. Песнь о нибелунгах. Москва.
12. Гинзбург, К. (2004). Мифы-эмблемы-приметы: Морфология и история. Сборник статей. Пер. С.Л. Козлова. Новое издательство
13. Морозова, Е. Б. (2011). Нацистский миф сквозь призму германо-скандинавской мифологии. Актуальные проблемы гуманитарных и естественных наук, (4), 397-401.
14. Русецкий, А., Дорохина, О. (2009). Архипелаг Кавказ. Мифы и реал-политик. SCIRS
15. Хаусхофер, К. (1943). Геополитическая динамика меридианов и параллелей. Газета Геополитики, (№ 8). Германия.

16. Хаусхофер, К. (2001a). О геополитике. Работы разных лет. Москва: Мысль.

17. Хаусхофер, К. (2001b). Континентальный блок: Центральная Европа – Евразия – Япония. В О геополитике: Работы разных лет (стр. 371–418). Москва: Мысль.

18. Юнг, К.Г. (1994). О современных мифах. Издательство: Москва.

19. ჯავახიშვილი, ნ. (2018). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918–1921): ენციკლოპედია-ლექსიკონი. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.

20. რუსეცკი, ა., დოროხინა ო. (2021) „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“

21. რუსეცკი, ა. (2023). „აფხაზეთის პოლიტიკური კრიზისი - მეტაკოგნიტური მართვის თეორიის შესაძლებლობები“. სადისერტაციო ნაშრომი. კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

22. რუსეცკი, ა. (2024). „პოლიტიკური მითოლოგია - გამოუყენებელი შესაძლებლობები საქართველოსთვის და საერთაშორისო უსაფრთხოებისათვის“, 2024. Accepted for printing

23. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. (1978). ტ. 3. თბილისი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობა

24. Convention for the Safeguarding of the Intangible Cultural Heritage, Paris, 17 October 2003MISC/2003/CLT/CH/14 https://unesdoc.unesco.org/ark:/48223/pf0000153347?posInSet=25&queryId=e7e9e794-895f-41a9-943a-121c9b220602

25. Географический атлас Птолемея (Библиотека древних рукописей), https://drevlit.ru/atlas_1480.html

26. Основатель “Аненербе”, Проект ХРОНОС, http://www.hrono.ru/biograf/bio_we/wirt_herman.html

27. Основатель «Аненербе» Герман Вирт посвятил жизнь изучению Арктогеи и Гипербореи. Почему его открытие так и осталось тайной?, https://dzen.ru/a/ZC_zcAg_cHLj-D9t